პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 აგვისტო, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 166 (9577) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## წინ სეული

**მოსკოვში** დაბრუნდა სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრები, რომელმაც ამ დღეებში საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში გამართულ ევროპის პირველობაზე ოქროს მედლები მოიპოვა. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა გუნდის მეკარეს მიხეილ გიორგაძეს და ესაუბრა მას:

— **გილოცავთ ამ დიდ წარმატებას!**

— გმადლობთ.

● **რომელ ადგილზე ვარაუდობდა გასვლას გუნდის ხელმძღვანელობა სტრასბურგში?**

— მეორე-მესამეზე.

● **ვინ ითვლებოდა ტურნირის ფავორიტად?**

— იუგოსლავიის, საბჭოთა კავშირის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის გუნდები.

● **წყალბურთელთა ტურნირის ფინალში თანაბარი სიძლიერის გუნდები შეებრძოლნენ ერთმანეთს.**

— მართალი ბრძანდებით. ყველას ეგონა, რომ ადვილად მოვუგებდით იუგოსლაველებს, მაგრამ ისინი ხომ ოლიმპიური ჩემპიონები, შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონები და წლევანდელი მსოფლიოს თასის მფლობელები არიან.

● **მერამდენედ იზეიმა გამარჯვება სსრ კავშირის ნაკრებმა?**

— მეოთხედ, აქედან 1983 წლის შემდეგ ზედიზედ სამჯერ.

● **ახე რომ, თქვენ სამგზის ევროპის ჩემპიონი ხართ?**

— დიახ.

● **რამდენიმე თამაში გამოტოვეთ. ამას ხელი ხომ არ შეუშლია თქვენთვის მედლის მიღებაში?**

— არა, ჯილდო თოთხმეტმა წყალბურთელმა მიიღო, მათ შორის მეც.

● **რას იტყვით შეჯიბრების ორგანიზაციაზე?**

— თანდათან უმჯობესდება საერთაშორისო შეჯიბრებათა ორგანიზაცია. სტრასბურგშიც ყველაფერი იდეალურად იყო მოწყობილი.

● **ალბათ, თვალი ოლიმპიურ ხეულზე გიჭირავთ?**

— დიახ, ჩვენი ქვეყნის წყალბურთელთა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი ვარ.

● **ხელი მოგემართოთ.**

— გმადლობთ, ვეცდები ოლიმპიელი გავხდე.

**თ. წეველი,**
**(ტელეფონით).**

მოსკოვი.



მიხეილ გიორგაძე.




## ფილა 75 წლისაა

**ბუშინ** საფრანგეთის ქალაქ კლერმონ-ფერანში დაიწყო თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. მანამდე კი ორ დღეს მიმდინარეობდა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი, რომელშიც მონაწილეობდნენ ფედერაციის ხელმძღვანელები, ჩემპიონატის მონაწილეები და წარსულში სახელმოხვეჭილი მოჭიდავეები, მათ შორის იყვნენ სტუმრები საბჭოთა კავშირიდან, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონები ალექსანდრე მედვედი, ალექსანდრე ივანიცკი, რომან რურუა, რუსტემ კაზაკოვი, ალექსეი შუმაკოვი.

საზეიმო საღამოზე სიტყვით გამოვიდა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, იუგოსლაველი მილან ერცეგანი, რომელმაც აღნიშნა: „ჩვენ, ფედერაციის ხელმძღვანელებს ინფორმაციის დროული და საქმიანი გაცვლა ნორმალური მუშაობის ერთ-ერთ მთავარ პირობად მიგვაჩნია. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ჭიდაობის საბჭოთა სკოლა მსოფლიოში მოწინავეა, რომ აქ ქვეყნის მოჭიდავეებსა და მწვრთნელებს მდიდარი გამოცდილება აქვთ, რომლის გადაღება და გაზიარება განვითარებად ქვეყნებს დიდ სამსახურს გაუწევდა“.

საიუბილეო საღამოს ყველა მონაწილეს ფედერაციამ გადასცა სამახსოვრო მედლები, ლამაზი სამკერდე ნიშნები, ჭიდაობის ისტორიის ამსახველი წიგნები და ბუკლეტები.

### ინფორმაცია

**პეკინი.** გაზეთ „ბეიცზინ ქიბაო“-ს მიერ მოწყობილ კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა კავშირის ვაჟთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა დაამარცხა ჯერ იაპონელები, შემდეგ კი ავსტრიელები და ნახევარფინალში გავიდა.

ამავე ეტაპზე იასპარეზებენ, აგრეთვე, აშშ-ს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელები.

## საბჭოთა და აშშ-ს წყალში მხტომელთა მატჩის წინ



თბილისი.
4-7 სექტემბერი

**ჩვენი** ქვეყნისა და აშშ-ს წყალში მხტომელები დიდი ხანია მსოფლიოში უძლიერესებად ითვლებიან. ბოლო დროს მათ ჩინელებიც შეუერთდნენ. ამიტომაა, ამ ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით გამართული ასპარეზობა უდიდეს ინტერესს რომ იწვევს. გამონაკლისი არც საბჭოთა და ამერიკის მხტომელთა ამხანაგური მატჩი იქნება. ეს შეჯიბრება 4 სექტემბერს თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში დაიწყება.

სპორტის მოყვარულებს, ალბათ, ახსომებათ, რომ მსგავს შეხვედრას თბილისმა ერთხელ უკვე უმასპინძლა. ეს იყო 1979 წელს, როცა საბჭოთა და ამერიკელ წყალში მხტომელთა რიგით მეოთხე ასპარეზობა გაიმართა.

მაშინ ამერიკელებმა გვითხრეს: „ჩვენი გუნდი საუკეთესო შემადგენლობით ჩამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ არ ჩამოგვყოლია მსოფლიოს ჩემპიონი ჯენეს სორბონი და ფილ ბოგსი. პირველმა, უბრალოდ, არ ისურვა შეჯიბრებაში ჩამოსვლა, მეორე კი იურისტია და ვერ მოიცალა. სამაგიეროდ გვყავს მსოფლიოს ჩემპიონი გრეგ ლუგანისი, ოლიმპიური ნაკრების წევრი რობერტ გრეგი და სხვა საუკეთესო სპორტსმენები“.

სამწუხაროდ, მაშინ მსოფლიოს ჩემპიონ გრეგ ლუგანისის ხუთიოდე ნახტომი ვიხილეთ, რადგან იგი ასპარეზობისას მძიმედ დაშავდა. მიუხედავად ამისა, სპორტსმენმა ერთი თვის შემდეგ მსოფლიო თასი მოიპოვა, მომდევნო წლებში კი მსოფლიოს ჩემპიონის, თასის მფლობელისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტულები. ერთი სიტყვით, ლუგანისი სახელოვანი წყალში მხტომელია.

სასიხარულოა, რომ თბილისელ მაყურებლებს საშუალება ექნებათ კვლავ იხილონ ლუგანისის ოსტატობა. დიახ, შეჯიბრებაში მისი მონაწილეობა ასპარეზობისადმი ინტერესს ერთი-ორად ზრდის.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

## „ფერი დუსიკას“ პირველი მედლები

**ავსტრიის** დედაქალაქი ვენა დღეს ველოსპორტით ცხოვრობს. „ფერი დუსიკას“ ტრეკის მისადგომებთან დადგმულია „ლაზლანდარა ლეკვის“ გამოსახულება, რომელსაც თავზე ველოსიპედისტის მუზარადი ახურავს. „სპრინტი“ (ასე ქვია ამ ლეკვს) ველოსიპედისტთა 1987 წლის მსოფლიო ჩემპიონატის თილისმაა.

ვენაში დღეს უამრავი უცხოელი ტურისტი და 42 ქვეყნის უძლიერესი ველოსიპედისტია ჩამოსული. 30 აგვისტომდე აქ მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლებს სატრეკო სახეობების წარმომადგენლები გაითამაშებენ. მერე შეჯიბრება კარინტიას მიწაზე გადაინაცვლებს და ქალაქ ფილაჰში ერთმანეთს საგზაო ტკეცილო ველოსპორტის წარმომადგენლები შეეჯიბრებიან.

25 აგვისტოს „ფერი დუსიკაზე“ ჩემპიონატის საზეიმო გახსნა მოეწყო, მეორე დღეს კი 1000 მეტრზე გიტში მედლების პირველი კომპლექტი გათამაშდა. შეჯიბრების დაწყებამდე ტრეკის ხის საფარი გულმოდგინედ შეამოწმა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა, ფრანგმა დანიელ მორელონმა. მასზე დიდი ავტორიტეტი მსოფლიოს ველოსპორტს დღეს არა ჰყავს. მორელონმა მაღალი შეფასება მისცა ამ ბილიკებს, მისი ვირაჟების დაქანებას და აღნიშნა, რომ შეჯიბრების დღეებში ბევრი მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდება.

ჩემპიონატის სტარტზე სპეციალისტის პროგნოზები არ გამართლდა, თუმცა სენსაცია მაინც მოხდა. 1000 მეტრზე გიტში (ადგილიდან) ოქროს მედალი ავსტრალიელმა მარტინ ვინიკომბმა [illegible] 1.03,173.

რატომ არის ეს შედეგი მოულოდნელი? იმიტომ, რომ აქ მთავარ ფავორიტებად გდრ-ის ველოსიპედისტები ითვლებოდნენ. ერთმა მათგანმა იენს გლიუკლიჰმა მხოლოდ მეორე შედეგი აჩვენა (1.03,374) და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

პირველი ჯილდო საბჭოთა გუნდმაც მიიღო. კონსტანტინე ხრაბცოვს გიტში ბრინჯაოს მედალი ერგო — 1.03,641.

## ჭაბუკები მესამე ადგილზე, გოგონები...

**ტირასპოლში** გაიმართა მოსწავლე ხელბურთელთა ტრადიციული საკავშირო ტურნირი, სარბიელზე გამოვიდა გოგონათა და ჭაბუკთა 18-18 გუნდი. წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა ჭაბუკებმა, რომლებმაც ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და 2 ქულით განაგრძეს ასპარეზობა ფინალში. აქ კი დაძაბულ პაექრობაში პირველობა მოიპოვეს რსფსრ-ის ჭაბუკებმა, მეორე ადგილზე გავიდა მოლდავეთის გუნდი. საქართველოს წარგზავნილები (თბილისის განათლების სამმართველოს სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლა) მესამე ადგილზე გავიდნენ (მწვრთნელი ალექსანდრე ხუციშვილი).

სუსტად იასპარეზეს ჩვენმა გოგონებმა (ზემოხსენებული სკოლის გუნდი), რომლებმაც 18 კოლექტივს შორის მე-16 ადგილი დაიკავეს (მწვრთნელი თამაზ ჩხაიძე). თუმცა უნდა ითქვას, ჩვენი გუნდი უფრო უმცროსებით 12-13 წლის მოზარდებით იყო დაკომპლექტებული (14-15 წლის გოგონები სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებში მონაწილეობდნენ და მათ დასვენების საშუალება მისცეს).

## წოდებათა მინიჭება

**სსრ კავშირის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**ფეხბურთში** — ირაკლი გელენავას, სერგეი არუთინიანს (ორივე — სოხუმი, ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლა).

**თავისუფალ ჭიდაობაში** — სპარტაკ ბალაშვილს (თბილისი. „დინამო“).

**ნიჩბოსნობაში** — კახაბერ ლომიშვილს (თბილისი, ასკ).

**ტყვიის სროლაში** — მარინე აბაკელიას (თბილისი, „დინამო“).

## ტელეტაიპი — [illegible]

**ვილნიუსი.** ველოსიპედისტთა საერთაშორისო ტურნირში სსრ კავშირის ჩემპიონმა ტაშკენტელმა ჯომოლიდინ აბდუჟაპაროვმა ორი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. მან ჯერ გამოთიშვით რბოლა მოიგო „ჟალგირისის“ სტადიონის სარბენ ბილიკზე, მერე კი ყველას 150-კილომეტრიან დისტანციაზე აჯობა — 3:33.00. კრიტერიუმში პირველი ადგილი წილად ხვდა კლაიპედელ ივანე რომანოვს — 26 ქულა.

**მანამა (ბაჰრეინი).** დამთავრდა იუნიორ ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირები. საბჭოთა სპორტსმენებმა მესამე მატჩი ჩინეთის გუნდს მოუგეს (3:1) და ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე კუბელი ფრენბურთელები გავიდნენ. სხვა ქვეჯგუფებიდან ნახევარფინალში თამაშის უფლება გფრ-ის, ბაჰრეინის, სამხრეთ კორეის, არგენტინის, ბრაზილიისა და ბულგარეთის გუნდებმა მოიპოვეს.

**შენიანი (ჩინეთი).** სსრ კავშირის ძიუდოისტთა ნაკრებმა გუნდმა დიდი უპირატესობით დაამარცხა ჩინეთის კოლექტივი (17:1) აქ გამართულ სამატჩო შეხვედრაში.

**პალმერსტონი (ახალი ზელანდია).** საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა გუნდი ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ახალ ზელანდიას ეწვია. პირველი მატჩი, რომელიც ოკლენდში ჩატარდა, ჩვენმა კალათბურთელებმა მოიგეს ანგარიშით — 133:95 (64:50). მეორე შეხვედრაშიც სტუმრებმა გაიმარჯვეს — 124:102 (61:56).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

### ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისათვის



# ქართველ სპორტსმენთა გალერეა ილიასეულ პრესაში

## 5. ქართველი ცხენოსნები უცხოეთში

„**ჩვენ** მოგვივიდა სან-ფრანცისკოს გაზეთი „სან ფრანცისკო ქრონიკლი". 23 (11) იანვრისა 1894 წლისა, რომელშიც დაბეჭდილია საყურადღებო წერილი. მოგვყავს შინაარსი ამ წერილისა. სათაურად წერილს აწერია: „უდაბურის მეთაური". ჩვენში იმყოფება ერთი აზნაური ჩერქეზი, უშესანიშნავესი ცხენოსანი.

აქ იმყოფება ერთი აზნაური, რუსეთის ტრამალი ადგილებიდან მოსული, რომელმაც საერთო ყურადღება დაიმსახურა. გუშინ იგი როტონდაში ცხენით ჯირითობდა... ეს კაცი არისო მ. ტ. კოტკოშვილი... კოტკოშვილმა დასძინა, რომ ათის წლიდან ვისწავლე ცხენზე ჯდომა. ჩემის აზრით, საუკეთესო ჯიშის ცხენი ჩვენებური ცხენია, ჯაფისა და შრომის ამტანი, ლამაზი. ჩვენში ყმაწვილი ათის წლიდგანვე ცხენზედ იზრდება და ეჩვევა ცხენოსნობასაო. ჩვენი სიცოცხლის მესამედს ნაწილს ცხენზედ ვატარებთო.

გაზეთი ამბობს, რომ კოტკოშვილმა როტონდაში ჯირითობის დროს დამბაჩა დასცალა, ხმალი ამოიღო და ისეთის ხელოვნებით ატრიალებდა, რომ ეტყობოდა დიდი ვაჟკაცი უნდა იყოსო.

როგორც გაზეთის სიტყვიდგანა სჩანს, მ. ტ. კოტკოშვილი ჯერ საფრანგეთში მოსვლამდე, ჩიკაგოში ყოფილა და აქ ბუფალო-ბილის ცირკში მყოფ ყაზახთა დასისათვის ცხენზედ ვარჯიშობის მასწავლებლად ყოფილა მიწვეული, იქაც დიდი ყურადღება დაიმსახურა თურმე საზოგადოებისაო.

გაზეთშივე დაბეჭდილია სურათი თვით მ. ტ. კოტკოშვილისა. კოტკოშვილს ჩოხა აცვია, მართლაც, კარგის შეხედულობის ვაჟკაცი სჩანს, შავი წვერი აქვს და დაგრეხილი ულვაშები".

„**ივერია", 1894. 9 თებერვალი, ქართველები ამერიკაში.**

შენიშვნა: მ. კოტკოშვილის შესახებ ადრე, 1973 წლის 16 იანვარს გაზეთმა „ლელომ" გამოაქვეყნა ვ. სიდამონიძის წერილი „ქართველი მოჯირითე სან-ფრანცისკოში", რომელშიც ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ ამერიკული გაზეთი შეცდომაში შეუყვანია მხედართა კომისიონერს ქელეზნოგოროდოვს და კოტკოშვილი ჩერქეზად მოუნათლავთ, ეს ალბათ იმის გამოც მოხდაო, რომ რუსები მაშინ ქართულ ჩოხას შეცდომით „ჩერკესკას" ეძახდნენ; კოტკოშვილი კი თავის ნომრებს ჩოხაში ასრულებდა. ვ. სიდამონიძისვარაუდით კოტკოშვილები თბილისში გადმოსულები არიან აფხაზეთიდან, კერძოდ, კოტკოვის ხეობიდან.

„პარიჟის გაზეთ „პეტიტ ჟურნალში" დაბეჭდილია: ჩვენ რედაქციას ამ დღეებში თხუთმეტნი კავკასიელი ეწვია. ყველანი საუკეთესო და თამამი მხედრები არიან. ეს კავკასიელები ჩიკაგოს მიემგზავრებიან ბ-ნ ერკოლის მეთაურობით; ჩიკაგოს გამოფენაზედ სხვათა შორის დოლი გაიმართება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთის კავალერისტები, გერმანელი ულანები, ინგლისელები, ამერიკის ინდიელნი და ეს კავკასიელნიც. კავკასიელ მხედართა მეთაური, ბ-ნი ერკოლი გამოცდილი კაცია და დარწმუნებულია, ჩემი დასი გაიმარჯვებს დოლშიო, ცხენები უკვე გაუგზავნიათ გემით ამერიკაში. დასს მეთაურობს თ. ეკისთავი (ერისთავი თუ იქნება). მეთაური დასისა არაფრით განირჩევა თავის ამხანაგებისაგან: შავი ტყავის ქუდი ჰხურავს, ნაბადი, წითელი ტანსაცმელი აცვია მასრებით: შეიარაღებულია გრძელი დამბაჩებით და ხმლითა, ხმლის ტარი ჩუქურთმიანი, ქარქაში შავი ტყავისაა.

ყველანი სამეგრელოსა და საქართველოს (?) მკვიდრნი არიან და ბევრჯერ მიუღიათ მონაწილეობა მტერთან ბრძოლაში და ყველანი რუსეთის ჯარში ყოფილან, თუმცა იმ ერის ენა სრულებით არ იციან, რომელსაც ემსახურებიან.

საკვირველს სურათს წარმოადგენენ ეს მეომარნი: სახე ერთსა და იმავე დროს მკაცრიც აქვთ და წყნარიც; შავი, ჭკვიანი თვალები და შავი, გრძელი წვერი რაღაც უცნაურ ელფერსა სდებს მათ სახეს... სთქვეს თავიანთი სიმღერა, რომელსაც რაღაც უცნაური მელოდია ჰქონია. თუმცა სიმღერა წყნარი იყო. მაგრამ შიგადაშიგ საშინლად გაჰკიოდნენ".

„**ივერია" 1893, 19 მარტი.**

მკითხველს გავახსენებთ, რომ ქართველი მხედრები სხვა დროსაც სწვევიან უცხოეთს. გაზეთ „ლელოს" 1986 წლის 24 დეკემბრის ნომერში ჩვენ გამოვაქვეყნეთ კიდეც ზოგიერთი მათგანის გვარები. ესენი იყვნენ: 1892 წელს ინგლისში ჩასული გურული ცხენოსნები — ივანე მახარაძე, დიმიტრი მეგრელიშვილი, ვასო ჭყონია, დათა ჭყონია, ლევონტი ჯორბენაძე, ლუკა ჩხარტიშვილი, მოსე გიგინეიშვილი, ბესარიონ ცინცაძე, მელიტონ ცინცაძე და ირაკლი ჭყონია.

**ავთანდილ ციბაძე.**



**სპორტის** ოსტატ შოთა კაციაშვილის ხსოვნას ადგილობრივი მოჭიდავეები მუდამ აღნიშნავენ. ამჯერადაც მეტეხში გაიმართა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც ხაშურის, გორის, ქარელისა და მეტეხის გუნდები მონაწილეობდნენ. ფინალში ბრძოლის უფლება ადგილობრივმა და ხაშურელმა ფალავნებმა მოიპოვეს. ძალები ამ შეხვედრაში იმდენად თანაბარი იყო, რომ უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 4:4. მაგრამ გამარჯვება მაინც მეტეხელებს მიენიჭათ, ვინაიდან მეტი წმინდა გამარჯვება ჰქონდათ მოპოვებული.

შოთა კაციაშვილის სახელობის პრიზი ზემოხანდაკელ ფალავანს გიორგი გორგაძეს ხვდა. ჯილდო გამარჯვებულს განსვენებულის მამამ წარსულში ცნობილმა მოჭიდავემ ლავრენტი კაციაშვილმა გადასცა.

* * *

**სურათზე:** გიორგი გორგაძე (ზემოდან) ჭიდაობის დროს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო და ტექსტი.

### როგორ ვემზადებით ახალ სასწავლო

# მედლეხვალიევ კაცსაო...

**პირველ** სექტემბერს პატარები ჟივილ-ხივილით მიაშურებენ საყვარელ სკოლებს და საკლასო ოთახების შემდეგ მოედნებსა და სპორტდარბაზებს მოინახულებენ — იბურთავებენ, ირბენენ...

სასწავლო წლის დასაწყისისათვის ყველა სკოლა ზაფხულში უნდა მოემზადოს. სკოლის თადარიგიანი ხელმძღვანელები, განათლების განყოფილებები, შეფები არდადეგების პერიოდში მარტო სპირველსექტემბროდ კი არა, ზამთრისათვისაც ემზადებიან. მალე შემოდგომა მიიწურება და მედლეხვალიეს კარს მოადგება ზამთარი.

თადარიგიანი კაცი ჩანს ბანძის საშუალო სკოლის დირექტორი დევის კვანტალიანი. მან „გამოყოფილი სახსრების" გარეშე, საკუთარი ინიციატივით გაარემონტა სკოლის სამსართულიანი შენობა. ახალგაზრდა პედაგოგმა დარაზმა და დასაქმა პედკოლექტივი, მოსწავლეთა მშობლები, უფროსკლასელები. ამ სკოლის სპორტდარბაზში „წვიმდა", რადგან თავის დროზე ბრტყელი გადახურვა უხარისხოდ შეუსრულებიათ მშენებლებს. „დიახ, ასეთ „წვრილმანზე" მშენებლები თავს არ იწუხებენ — გვითხრა დევისმა. სახურავზე გაზქურა და ქვაბი ავიტანეთ, გუდრონი მოვადუღეთ და დაზიანებული ადგილები შევაკეთეთ. არ ვიცი როდემდე გაძლებს ჩვენი ნაცოდვილარი, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა". აქ ღია მოედნებიც მოსაწესრიგებელია. სკოლის დირექტორს განზრახული აქვს სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაატაროს კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნებზე. აქვე მოეწყობა კორტებიც.

ასეთი ენთუზიასტი რომ ბევრი გვყავდეს გეგეჭკორის რაიონში... განათლების განყოფილებამ ლეხაინდრაოს და მუხურჩის საშუალო სკოლებს სპორტდარბაზების შესაკეთებლად 2-2 ათასი მანეთი გამოუყო. ვნახოთ რა გაკეთდა ამ სკოლებში.

ლეხაინდრაოს საშუალო სკოლაში (დირექტორი ჯემალ გვაზავა, ფიზკულტურის მასწავლებელი გერმანე დანელია) სამშენებლო-სარემონტო კანტორის მუშაკებს მხოლოდ იატაკი გამოუცვლიათ, თანაც ნედლი ფიცრები დაუგიათ. სამუშაო უხარისხოდაა შესრულებული. უსწორმასწოროდ დაგებულ იატაკზე ბავშვებმა შეიძლება ფეხიც წაიმტვრიონ. დარბაზის კედლები არ შეულებიათ, გასახდელები კვლავ მოუწყობელია, ღია მოედნები მოსაწესრიგებელია.

მუხურჩის საშუალო სკოლაში (დირექტორი ხუტა ვახანია, ფიზკულტურის მასწავლებელი პარმენ გვასალია) ამ ზაფხულში მშენებლები საერთოდ არ გამოჩენილან, არადა სპორტდარბაზი ავარიულ მდგომარეობაშია. რემონტისათვის გამოყოფილი 2 ათასი მანეთი პირველი რიგის სამუშაოების შესასრულებლად თუ იკმარებს. იატაკი დასაგებია, კარფანჯრები გამოსაცვლელი და შესაღები, შესაცვლელია ელექტროგაყვანილობა, მოსაწესრიგებელია კალათბურთის მოედანი. გარდა ამისა სკოლა არ თბება და ბავშვებს ზამთარში გაყინულ დარბაზში მოუწევთ ვარჯიში. ერთი სიტყვით, აქ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

ასეთივე მდგომარეობაა გეგეჭკორის № 3 საშუალო სკოლაში, რომელმაც ყოფილი ინტერნატის შენობაში დაიდო ბინა. მზრუნველი კაცი აქ მშვენიერ მოედნებს მოაწყობდა. მართალია, სპორტდარბაზი უვარგისია, ავარიულ მდგომარეობაშია, მაგრამ სკოლას იმოდენა ეზო აქვს, რომ... აქ თავის დროზე ფეხბურთის, კალათბურთის და ხელბურთის მოედნები მოუწყვიათ, მაგრამ მოუვლელობის გამო იქაურობა გაპარტახებულა. ამ სკოლის (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიგლა გელენიძე) ფიზკულტურის მასწავლებელს პავლე სურმავას უნდა ვუსაყვედუროთ — დიახ, მისი ხელი არაფერს ეტყობა.

აბედათის საშუალო სკოლა (დირექტორი ნინო პატარაია, ფიზკულტურის მასწავლებელი გიორგი კინტირაია) შარშან ჩადგა მწყობრში. როგორც ხშირად ხდება, მშენებლებმა სპორტდარბაზის დამთავრება სასწრაფო საქმედ არ ჩათვალეს და მშენებლობა წელს გააგრძელეს. დარბაზი ვერ დავათვალიერეთ, რადგან კარი გულდაგულ დაეჭედათ, მაგრამ დარბაზს გარედანაც ეტყობოდა რა დღეშიც იყო — მინები ჩამსხვრეული, გვერდითი კარი ნახევრად შეტეხილი, ეზოში კალათბურთის მოედანი მოუწყობელი...

ცუდ დღეში არიან სპორტსკოლის მუშაკებიც (დირექტორი მურმან სიგუა). შარშან ისინი „გადაბარგდნენ" ყოფილი ბაგა-ბაღის შენობაში, რომელიც მათ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს — პატარა ოთახები უვარგისია სექციური მუშაობის ჩასატარებლად. ამიტომ აქ აუცილებელია სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება.

მოედნები კეთილმოსაწყობია № 2 საშუალო სკოლაშიც. სპორტდარბაზში დასაგებია იატაკი.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა № 1 და ხუნწის 8-წლიანმა სკოლებმა. აქ სრული წესრიგი სუფევს. ბავშვებს შესანიშნავი სპორტული ბაზები დახვდებათ. სხვა სკოლების დათვალიერება ვერ მოვახერხეთ. გვითხრეს, დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა რემონტს უკეთებს საშეფო საშუალო სკოლასო.

განათლების განყოფილების გამგემ ნაზი ჯვებენავამ გვითხრა: რაიონის 29 საშუალო, 21 რვაწლიანი და 17 დაწყებითი სკოლის სარემონტოდ გამოყოფილი 95 ათასი მანეთი ცოტაა. სადირექტივო მითითებათა საფუძველზე ეს თანხა თითქმის ყველა სკოლას გავუნაწილეთ, უმჯობესი კი იქნებოდა ყველაზე ავარიულ მდგომარეობაში მყოფ სკოლებში ჩაგვეტარებინა სრულყოფილი რემონტი. ახლა ასეთ დღეში აღმოვჩნდით. ბევრგან გვიჭირს გათბობის საკითხის მოგვარება. ბევრ სკოლას ღუმელით ვათბობთ. ცხადია, ასეთ პირობებში სპორტდარბაზის გათბობაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ ვეცდებით რამე ვიღონოთ — ბავშვებს სპორტული ბაზები მოვუწყოთ".

დიახ, სურთ კარგი სკოლები და ყოველმხრივ მოწესრიგებული სპორტული ბაზები ჰქონდეთ, მაგრამ მარტო სურვილით შორს ვერ წავალთ. საჭიროა სახსრები, მეტი პასუხისმგებლობა და, რაც მთავარია, მონდომება და ენთუზიაზმი. სკოლის ხელმძღვანელები, ფიზკულტურის მასწავლებლები, შეფი ორგანიზაციები უნდა დაირაზმონ, ერთად აკეთონ საერთო საქმე, მოუარონ და გაუფრთხილდნენ სკოლის ქონებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ: თითქმის ყველა სკოლის მოედანზე ბალახი ბიბინებდა, ე. ი. აქ მთელი ზაფხულის განმავლობაში ბურთი არავის გაუგორებია. ეტყობა, ადგილობრივი ფიზკულტურული ორგანიზაციები ზაფხულში „ისვენებდნენ", რადგან სპორტდარბაზებიც ყველგან გამოკეტილი დაგვიხვდა. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტისადმი გულგრილი დამოკიდებულება არ ეკადრებათ მდიდარი ტრადიციების მქონე გეგეჭკორელებს.

**ნუგზარ ჟვანია.**
„ლელოს" საკ. კორ.

### პიონერული ზაფხული-87

# ინრთობიან, კაჟდებიან

**ბათუმის** ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკი ნორჩების საყვარელი დასასვენებელი ადგილია. ახლა აქ პირველი საქალაქო პიონერთა ბანაკია დაბინავებული (ბანაკის უფროსი და პარკის დირექტორი რეზო ბოლქვაძე). ასამდე გოგონა და ბიჭუნა ატარებს ბანაკში საზაფხულო არდადეგებს. ყოველი დღე იწყება დილის 20-წუთიანი გამაჯანსაღებელი ვარჯიშით. შემდეგ კი ბანაკი ცხოვრობს წინასწარ დადგენილი პროგრამით, რომელშიც დიდი ადგილი ეთმობა ფიზკულტურასა და სპორტს.

ბავშვები მეცადინეობენ შაშის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, ფეხბურთის სექციებში. ეწყობა შეჯიბრებები, საბანაკო სპარტაკიადა. ახლახან ჩატარებულ სპარტაკიადაში გაიმარჯვა პირველმა რაზმმა. ასეც უნდა ყოფილიყო, — ამბობს რაზმის საბჭოს თავმჯდომარე, ბათუმის № 23 საშუალო სკოლის მოსწავლე ეკა გოთუა. — საქმე ის არის, რომ სპარტაკიადის მონაწილე 4 რაზმიდან ჩვენი, ასაკით ყველაზე უფროსი და გამოცდილი სპორტსმენებისაგან შედგებოდა. რაზმის თითქმის ყველა წევრი სპორტის სხვადასხვა სახეობაში მეცადინეობს. აქ, ბანაკში, ყველამ შეინარჩუნა სპორტული ფორმა. ამისათვის დიდი მადლობა ეთქმით ჩვენს ფიზკულტურის მასწავლებლებს ზურამ ჭანტურიასა და გურამ სიხარულიძეს.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია აქვე, პარკში მდებარე ტბაზე გამართულმა შეჯიბრებამ ნავის მართვაში. აქაც პირველრაზმელებმა იყოჩაღეს. ეს იყო კიდევ ერთი შინაარსიანი და საინტერესო საბანაკო ცხოვრების დღე.

ტბას ირგვლივ მოასფალტებული ბილიკი აკრავს. იგი შესანიშნავად გამოიყენეს მძლეოსნობის მოყვარულებმა. ყოველდღე ვარჯიშობენ, აწყობენ შეჯიბრებებს. ახლახან აქ მშდ სპორტული კომპლექსის ნორმატივები ჩააბარეს ნორჩებმა.

მალე დაიხურება პიონერთა ბანაკი. მობანაკენი დაემშვიდობებიან ერთმანეთს. მათ მეხსიერებაში დიდხანს დარჩება აქ გატარებული არდადეგები, განსაკუთრებით ფიზკულტურულ-სპორტული შეჯიბრებები. გაკაჟებული, ენერგიითა და ხალისით აღსავსენი მიუსხდებიან ისინი მერხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

გთავაზობთ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 22-ე ტურის მატჩების სტატისტიკურ მონაცემებს.

**„დინამო" (მოსკოვი) — „არარატი" 5:1 (5:0).** დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს ბულანოვმა, სტუკაშოვმა (2), ბოროდიუკმა (პენალტი) და კოლივანოვმა. მატჩის დასასრულს ერთი გოლით უპასუხა მხითარიანმა.

ამ მატჩში „არარატის" კარში დანიშნულმა პენალტმა (არბიტრი რ. იუშკა, ვილნიუსი) ერევნელ ფეხბურთელთა პროტესტი გამოიწვია. გააფრთხილეს „არარატის" მოთამაშეები ჩილინგარიანი და კირაკოსიანი, აგრეთვე, დინამოელები კოლივანოვი და კარატაევი.

ამ გუნდების დუბლიორებმა ითამაშეს პირველი და მეორე წრის მატჩები. ერთი თამაში მოიგეს ერევნელებმა — 1:0, მეორე — დინამოელებმა 5:1.

**„ქაირათი" — „სპარტაკი" 0:0.**

გააფრთხილეს ალმაათელი ტიმოფეევი და სპარტაკელები ბ. კუზნეცოვი და ბოკიი.

დუბლიორები — 2:5.

**ცსკა — „ნეფთჩი" 0:0.**

გააფრთხილეს „ნეფთჩის" მოთამაშე მირზოიანი, აგრეთვე, არმიელი კოლოტოვკინი.

დუბლიორები — 2:2.

**„ჟალგირისი" — „ტორპედო" 0:1 (0:0).** გოლი 48-ე წუთზე გაიტანა შირინბეკოვმა.

დუბლიორები — 4:1.

**„ზენიტი" — „დინამო" (კიევი) 0:1 (0:1).** გოლი: ევტუშენკო.

გააფრთხილეს კიეველი ბელანოვი.

დუბლიორები — 1:3.

**„დინამო" (მინსკი) — „მეტალისტი" 0:0.**

გააფრთხილეს ხარკოველი პანჩიშინი.

მატჩი იმსაჯა თბილისელმა არბიტრმა ვ. მიმინოშვილმა.

დუბლიორები — 2:0.

● **დონეცკის** „შახტიორისა" და ლანჩხუთის „გურიის" დუბლიორთა მატჩი დამთავრდა „შახტიორის" გამარჯვებით — 2:1 (და არა 3:0, როგორც უწინ ვიუწყებოდით).

● **22-ე ტურის** 8 მატჩში სულ 13 ბურთი გავიდა.

● **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის წინაა დნეპროპეტროვსკელი ო. პროტასოვი — 12 გოლი. 10 ბურთია ვილნიუსელი ა. ნარბეკოვასის ანგარიშზე, 9 ბურთი გაიტანა სპარტაკელმა ფ. ჩერენკოვმა.

● **ვილნიუსის** „ჟალგირისმა" პირველი მარცხი განიცადა საკუთარ მინდორზე, ხოლო მოსკოვის „სპარტაკმა" უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის პირველმა ამოწურა ფრეთა ლიმიტი (10). მოსკოვის „დინამო" მერვე ტურია წაუგებლად იბრძვის ჩემპიონატში.

● **29 აგვისტოს** გაიმართება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის IV ტურის მატჩები. ლანჩხუთში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „გურია" და თბილისის „დინამო".

● **29 აგვისტოს** შედგება ამხანაგური საერთაშორისო მატჩი სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრებ გუნდებს შორის.

### გათამაშების ცხრილი

**დუბლიორთა შემადგენლობანი**

მდგომარეობა 27 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი" | 22 | 16 | 3 | 3 | 44-16 | 35 |
| „სპარტაკი" | 22 | 16 | 1 | 5 | 61-26 | 33 |
| „ჟალგირ." | 21 | 9 | 11 | 1 | 36-12 | 29 |
| „დინ." კ. | 21 | 11 | 5 | 5 | 39-27 | 27 |
| „შახტიორი" | 21 | 9 | 6 | 6 | 23-18 | 24 |
| ცსკა | 21 | 10 | 3 | 8 | 35-35 | 23 |
| „დინ." მნ. | 22 | 9 | 5 | 8 | 35-28 | 23 |
| „ნეფთჩი" | 21 | 8 | 6 | 7 | 22-34 | 22 |
| „დინამო" მ. | 20 | 8 | 4 | 8 | 24-20 | 20 |
| „ქაირათი" | 22 | 7 | 6 | 9 | 30-36 | 20 |
| „ზენიტი" | 22 | 6 | 6 | 10 | 30-44 | 18 |
| „ტორპედო" | 22 | 5 | 7 | 10 | 15-26 | 17 |
| „გურია" | 21 | 5 | 3 | 13 | 22-45 | 13 |
| „დინ." თბ. | 20 | 4 | 5 | 11 | 24-38 | 13 |
| „მეტალის." | 22 | 4 | 5 | 13 | 18-33 | 13 |
| „არარატი" | 22 | 4 | 4 | 14 | 24-44 | 12 |

## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 28-ე ტურის მატჩები. გთავაზობთ მათ ტექნიკურ მონაცემებს.

### I ჯგუფი

**„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „დინამო" (ზუგდიდი) 2:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: წითელაშვილი, ხუჯაძე („მეტალურგი").

**„სალხინო" (გეგეჭკორი) — „სულორი" (ვანი) 6:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: ზ. დანელია, ხელაია, ესიავა, ბართაია-3 („სალხინო"), ორმოცაძე („სულორი").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ვანელი ფეხბურთელი დ. ლორთქიფანიძე.

**„ქართლი" (გორის რ-ნი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 2:1. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).** გოლები: ელკანოვი, ახალკაცი („ქართლი"), ჩიქობავა („ეგრისი").

**„დურუჯი" (ყვარელი) — „კახეთი" (თელავი) 0:0. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).**

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ყვარლელი თ. ვარადაშვილი. უხეში თამაშისთვის ჯერ გააფრთხილეს, შემდეგ კი მსაჯის გადაწყვეტილებაზე უკმაყოფილების გამოთქმისთვის მინდვრიდან გააძევეს თელაველი გ. ჭვრიტიძე.

**„სპარტაკი" (ცხინვალი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: ხუბეჯიშვილი („სპარტაკი"), გუჩუა („ამირანი").

მოწინააღმდეგის ხელით დაჭერისთვის გააფრთხილეს ოჩამჩირელი ფეხბურთელები თ. გუჩუა და გ. წულაია.

**„მადრევანი" (წყალტუბო) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 1:0. მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი).** გოლი: კუხიანიძე („მადრევანი").

გვერდით მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს თერჯოლელი ფეხბურთელი მ. ქურცაძე.

**„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „კოლხეთი" (ხობი) 1:1. მსაჯი გ. გაბესკირია (სოხუმი).** გოლები: ქავთარაძე („სამეგრელო"), ფარფალია („კოლხეთი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ხობელი ფეხბურთელები თ. შიოლაშვილი და დ. ჭიჭინაძე. უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ჩხოროწყუელი ფეხბურთელები ჯ. ბენდელიანი და ე. დანგაძე, ხოლო მათი თანაკლუბელები ე. ციმაკურიძე და მ. ახალაია — მსაჯის გადაწყვეტილებაზე უკმაყოფილების გამოხატვისათვის.

**„არმაზი" (მცხეთა) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:3. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლები: ჩიგოგიძე, თოფურიძე-2 („მერცხალი").

**„სქური" (წალენჯიხა) — „დინამო" (გაგრა) 6:2. მსაჯი ი. ჭანდულაკი (თბილისი).** გოლები: ოფხაზავა, ფიფია, ანთაძე-2, მარჯია-2 („სქური"), კვარაცხელია, ოფხაზანი („დინამო").

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მერცხალი" | 29 | 17 | 10 | 2 | 44-19 | 44 |
| „კოლხეთი" | 27 | 18 | 5 | 4 | 51-21 | 41 |
| „მადრევანი" | 28 | 17 | 6 | 5 | 44-24 | 40 |
| „სამეგრ." | 28 | 15 | 9 | 4 | 50-21 | 39 |
| „სქური" | 26 | 15 | 6 | 5 | 54-29 | 36 |
| „სულორი" | 28 | 13 | 8 | 7 | 30-30 | 34 |
| „ამირანი" | 28 | 13 | 5 | 10 | 36-34 | 31 |
| ფიზ. ინსტ. | 25 | 11 | 7 | 7 | 42-30 | 29 |
| „სპარტაკი" | 28 | 9 | 10 | 9 | 44-44 | 28 |
| „იმ."-„დ."-2 | 22 | 10 | 7 | 5 | 43-29 | 27 |
| „მეტალურ." | 28 | 11 | 4 | 13 | 36-37 | 26 |
| „დინ." ზ. | 27 | 9 | 8 | 10 | 37-30 | 26 |
| „ეგრისი" | 27 | 9 | 8 | 10 | 42-42 | 26 |
| „დინ." გ. | 27 | 8 | 10 | 9 | 29-39 | 26 |
| „მადნეული" | 26 | 8 | 9 | 9 | 41-28 | 25 |
| „სალხინო" | 28 | 8 | 9 | 11 | 37-47 | 25 |
| „ქართლი" | 26 | 10 | 4 | 12 | 33-34 | 24 |
| „საპოვნ." | 28 | 8 | 6 | 14 | 31-49 | 22 |
| „კახეთი" | 27 | 7 | 6 | 14 | 44-55 | 20 |
| „იმერეთი" | 27 | 7 | 6 | 14 | 37-61 | 20 |
| „არმაზი" | 26 | 6 | 6 | 14 | 26-44 | 18 |
| „დურუჯი" | 28 | 4 | 10 | 14 | 24-38 | 18 |
| „ივერია" | 27 | 5 | 7 | 15 | 21-37 | 17 |
| ახ. საფ. სკ. | 27 | 3 | 0 | 24 | 19-73 | 6 |

## საფეხბურთო ბრაზილია შეშფოთებულია

**საუკეთესო** ბრაზილიელი ფეხბურთელები ძალზე ძვირად ფასობენ საერთაშორისო ბაზარზე. უცხოეთის ქვეყნების ცნობილი პროფესიული კლუბები არაფერს იშურებენ გამოჩენილ ბრაზილიელ ფეხბურთელთა შესაძენად, მათ კარგად იციან ასეთ მოთამაშეთა ფასი. ოდესღაც ესპანეთში გამოდიოდა განთქმული დიდი, შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში თამაშობდა პელე, იტალიაში — მაცოლა, ევროპის კლუბებში გამოდიოდნენ ამარილდო, სერეზო, პ. ცეზარი, ჟაირზინიო, ზიკო, ფალკაო, სოკრატესი და მრავალი, მრავალი სხვა.

სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ ბრაზილიის ეროვნული ნაკრებისა და ქ. სან-პაულუს „პალმეირასის" 28 წლის მოთამაშემ მირანდინიამ ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი, ამ საერთაშორისო გარიგების თანხა დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარია.

ბრაზილიის საფეხბურთო წრეები საგონებელში არიან ჩავარდნილი თავიანთი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის ამ „დეზერტირობით". თუკი ვინმე ბრაზილიაში ხეირიანად თამაშობს, უკეთესი საშოვარის იმედით ევროპისკენ იცქირება, ეს კი მძიმედ ემჩნევა ბრაზილიის კლუბებსაც და ეროვნულ ნაკრებსაც. სპეციალისტები შეშფოთებული არიან იმით, რომ საარაკო ჰონორარებმა და სამშობლოს ფარგლებს გარეთ გატარებულმა წლებმა მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენეს ბრაზილიის საუკეთესო ფეხბურთელებს, მრავალი მათგანი იმის შიშითაა შებორკილი, რომ თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მატჩებში გამოსვლისას შეიძლება ტრავმა მიიღოს და მაშინ ეს უკვე მისი არა მარტო ფიზიკური, არამედ ფინანსური ტრავმაც იქნება.

ბრაზილიის საფეხბურთო წრეები აზრს გამოთქვამენ, რომ უძლიერესი ფეხბურთელები ვალდებული არიან სწორედ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა ქვეყანაში თამაშობდნენ და არა უცხოეთში, ბრაზილიის პრესტიჟი მათთვის გაცილებით უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე სხვაგან მიღებული გასამრჯელო.

## II ლიგა

**25 აგვისტოს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XX ტურის მატჩები.**

**კვლავ** წარმატებით იბრძვის ზონის ერთპიროვნული ლიდერი სამტრედიის „ლოკომოტივი". სამტრედიელმა ფეხბურთელებმა ამ დღეს თავიანთ მინდორზე მიიღეს ლენინაკანის „ოლიმპია" და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

ძლიერად თამაშობენ სოხუმის დინამოელებიც. XX ტურში სოხუმელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს მინგეჩაურის „ავტომობილისტი" და მორიგ გამარჯვებას მიაღწიეს — 5:2.

ამ მატჩის შესახებ ჩვენმა სოხუმელმა კორესპონდენტმა **ამირან ზუხბაიამ** ტელეფონით შეგვატყობინა: „ავტომობილისტთან" მატჩში სოხუმელებმა თამაშის დასაწყისიდანვე ხელთ აიღეს ინიციატივა, რამდენიმე სახიფათო იერიშის შემდეგ ანგარიში გახსნა ჩალიგავამ. მართალია, მცირე ხანს მერე მინგეჩაურელთა ნახევარმცველმა აშადოვმა შეძლო საპასუხო ბურთის გატანა, მაგრამ შესვენებამდე ინალიშვილმა კვლავ დააწინაურა „დინამო" — 2:1. შესვენების შემდეგ, პირველივე წუთებზე, გოგოხიამ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი, მერე კი ქანთარიამ მეოთხედ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

სოხუმელებს ამ პერიოდისთვის არაერთხელ უკვე გარანტირებული ჰქონდათ გამარჯვება, მწვრთნელებმა მინდორზე გამოიყვანეს მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის არუთინიანი, რომელმაც მეხუთე ბურთი გაიტანა „ავტომობილისტის" კარში, სტუმართაგან კი თავი გამოიჩინა ზარფანოვმა.

თბილისის „შევარდენი"-სპი-სა და კიროვაბადის „ქიაფაზის" მატჩის შესახებ, რომლის შედეგი მკითხველისთვის უკვე ცნობილია (2:1, „ქიაფაზის" სასარგებლოდ), შეგვიძლია ის ვთქვათ, რომ თბილისელთა გუნდი ფაქტიურად ხელახლა ყალიბდება თვით გათამაშების მსვლელობაში, გუნდის შემადგენლობაში მრავლად არიან ახალგაზრდები, ძლიერ მეტოქესთან შეხვედრაში თბილისელებმა პირველ ტაიმში 2 ბურთი მიიღეს მეტოქისაგან, ორივე შემთხვევაში ხიფათის უვნებელყოფა ვერ შეძლო მეკარემ. შესვენების შემდეგ თბილისელები ბევრს უტევდნენ, მაგრამ მხოლოდ ებანოიძის გატანილ ერთ გოლს დასჯერდნენ.

ტყიბულის „მეშახტისა" და ოქტემბერიანის „სპარტაკის" მატჩის თაობაზე დეპეშა გამოგვიგზავნა „ლელოს" ტყიბულელმა კორესპონდენტმა **ელდარ ბაქრაძემ**: „მატჩის დასაწყისი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ორივე კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, ერთ-ერთი მათგანი კარგად გამოიყენეს სტუმრებმა და დაწინაურდნენ, მაგრამ ეს გოლი გაათანაბრა ზაალიშვილმა, მეორე ტაიმში კი მეშახტეებს სრული უპირატესობა ეპყრათ, 70-ე წუთზე სპარტაკელთა კარში გადამწყვეტი გოლი გაიტანა გაგნიძემ. მასპინძლებს ამის შემდეგაც ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ 2:1 „მეშახტის" სასარგებლოდ უცვლელი დარჩა".

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „დილა" (გორი) — „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) 2:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — „ვოსხოდი" (სუმგაითი) 3:1, „კოლხეთი" (ფოთი) — „გოიაზანი" (ყაზახი) 4:0, „ლორი" (კიროვაკანი) — „კოლხოზჩი" (აშხაბადი) 1:0.

### გათამაშების ცხრილი

**II ლიგა, IX ზონა**

მდგომარეობა 27 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტ." | 20 | 15 | 4 | 1 | 33-8 | 34 |
| „დინამო" | 18 | 10 | 5 | 3 | 35-17 | 25 |
| „ქიაფაზი" | 20 | 10 | 3 | 7 | 36-25 | 23 |
| „კოლხეთი" | 20 | 9 | 4 | 7 | 31-26 | 22 |
| „შევ."-სპი | 20 | 9 | 3 | 8 | 36-25 | 21 |
| „მეტალურ." | 20 | 9 | 1 | 10 | 24-24 | 19 |
| „ვოსხოდი" | 20 | 8 | 3 | 9 | 24-28 | 19 |
| „მეშახტე" | 20 | 8 | 3 | 9 | 22-27 | 19 |
| „ოლიმპია" | 19 | 8 | 2 | 9 | 22-29 | 18 |
| „ყარაბახი" | 20 | 8 | 2 | 10 | 21-30 | 18 |
| „დილა" | 20 | 7 | 4 | 9 | 20-26 | 18 |
| „ლორი" | 20 | 8 | 1 | 11 | 16-20 | 17 |
| „სპარტაკი" | 19 | 7 | 3 | 9 | 25-29 | 17 |
| „ავტომობ." | 20 | 7 | 3 | 10 | 25-30 | 17 |
| „გოიაზანი" | 20 | 6 | 3 | 11 | 16-32 | 15 |
| „კოლხოზჩი" | 20 | 5 | 4 | 11 | 19-29 | 14 |

## „სკუადრა აძურას" ახალი ცვლა



**1982 წლის** შემდეგ, როცა იტალიელებმა მესამედ გაიმარჯვეს მსოფლიო ჩემპიონატში, ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები კრიზისმა მოიცვა. ევროპის 1984 წლის ჩემპიონატში „სკუადრა აძურა" ფინალისტთა შორისაც ვერ მოხვდა. იტალიელები უფერულად გამოვიდნენ 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატშიც. რამ გამოიწვია იტალიელთა ასეთი წარუმატებლობა — თაობათა ცვლამ? მართლაც, ნაკრები დატოვეს ისეთმა ოსტატებმა, როგორიც იყვნენ როსი, ძოფი, შირეა, ჯენტილე, გრაციანი და ამას არ შეიძლებოდა უკვალოდ ჩაევლო. მაგრამ სპეციალისტები სხვა მიზეზებსაც ასახელებენ. კერძოდ, იტალიის კლუბებში უცხოელი ფეხბურთელების „მომრავლებას".

მაგრამ ეროვნული გუნდის უფროსი მწვრთნელი აზელიო ვიჩინი, რომელმაც ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ შეცვალა ენცო ბეარზოტი, იმედს არ კარგავს. ვიჩინის აზრით, სულ მალე მთელი ძალით დაიწყებენ თამაშს ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელები მანჩინი, ჯანინი, ფრანჩინი, დონადონი, ფერი. ისინი გამოდიან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში და ამ სერიოზულ გამოცდას ჯერჯერობით კარგად ართმევენ თავს.

ჯანინიმ, ფერიმ და დონადონიმ, შეიძლება ითქვას, უკვე დაიმკვიდრეს ადგილი ძირითად შემადგენლობაში. მათი ასაკი 24 წელს არ აღემატება. ვიჩინის აზრით, 1990 წელს, როცა მსოფლიო ჩემპიონატი მათ სამშობლოში გაიმართება, სამივე საუკეთესო ფორმაში იქნება.

ჯანინი რომში დაიბადა და გაიზარდა. იგი ახლა „რომას" ღირსებას იცავს. ფერი მილანის „ინტერნაციონალეს" ცენტრალური ნახევარმცველია. იგი კარგად ერკვევა თამაშის სიტუაციებში, სწრაფია, ურტყამს მძლავრად და ძლიერად. თვით ფერი თვლის, რომ მისი პროგრესი დაკავშირებულია „ინტერის" ახალი მწვრთნელის ჯოვანი ტრაპატონის სახელთან.

— ტრაპატონის ხელმძღვანელობით ერთი წლის მანძილზე იმდენი შევიძინე, რამდენიც წინა წლებში ერთად აღებული — განუცხადა ფერიმ ჟურნალისტებს.

დონადონი „მილანში" თამაშობს. მას „იტალიელი პლატინი" შეარქვეს. იერიშების ორგანიზაციაში იგი უკვე ახლა სჯობნის ბევრ უფრო გამოცდილ ფეხბურთელს.

— მოქმედების თავისუფლება მჭირდება, — ამბობს დონადონი. — ნაკრებში, სადაც ვიჩინიმ მიმიწვია, ყველა კმაყოფილია ჩემი თამაშით, მოსწონთ ჩემი სტილი. კლუბში საქმე სხვაგვარადაა. აქ ვალდებული ვარ ზუსტად შევასრულო მწვრთნელის დავალება, ეს კი ხანდახან ხელს მიშლის. ვფიქრობ, გუნდს ბევრად მეტ სარგებლობას მოვუტანდი მწვრთნელს რომ თავისუფლება მოეცა.

ერთი სიტყვით, იტალიაში დღესაც არიან ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები. ცხადია, მათ დიდი მუშაობა მართებთ, რათა ერთ გუნდად გაერთიანებულებმა წარმატებით იასპარეზონ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში თანამემამულეთა თვალწინ. მომზადებისთვის დრო აქვთ. იტალიელ მიმომხილველთა აზრით, ვიჩინისთვის სამი წელი სავსებით საკმარისი უნდა იყოს მაღალი კლასის, უძლიერესის ტიტულის მოსაპოვებლად მომზადებული გუნდის შესაქმნელად.

## „ტყავის ბურთის" პრიზზე

**გუშინ** კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში შედგა „ტყავის ბურთის" კლუბის პრიზის საორგანიზაციო კომიტეტის საგანგებო თათბირი, რომელსაც ტურნირში მონაწილე ყველა გუნდის მწვრთნელი დაესწრო. თათბირზე გადაწყდა, რომ ფეხბურთელთა ასაკობრივი ცენზის დარღვევის გამო ტურნირიდან მოიხსნა ქალაქ სლავიანსკის „პლამია". ამ გუნდის ნაცვლად ფინალში თამაშის უფლება დართეს თბილისის „შატილს", რომელიც „პლამიამ" ნახევარფინალში დაამარცხა. მესამე საპრიზო ადგილისთვის „შატილის" ნაცვლად ქალაქ ბარანოვიჩის „ოლიმპიას" შეხვდება დიდი ჭყონის „იმედი". თამაშები გაიმართება თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე, დასაწყისი 17 და 19 საათზე.

# ზურაბ წიწუაშვილი — პირველი

**ბრიანსკში** გაიმართა დოსააფის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის საკავშირო ასპარეზობა გემთსამოდელო სპორტში მოსწავლეთა შორის.

საქართველოს ნაკრებმა საკმაოდ მოკრძალებული, მეათე ადგილი დაიკავა, მაგრამ იყოჩაღა რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონმა, პირველი საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ვერცხლის პრიზიორმა, თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ზურაბ წიწუაშვილმა. მან გაიმარჯვა პირად პირველობაში (მწვრთნელი დ. შელკოვი).

**გიორგი გაგიტაშვილი,**
**რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.**



## ჯიმი კონორსი: „ჯერ კიდევ, ვითამაშებ"

**უიმბლდონის** ტურნირის სამგზის გამარჯვებულმა, 34 წლის ამერიკელმა ჩოგბურთელმა ჯიმი კონორსმა უკანასკნელად დიდ წარმატებას 1984 წელს მიაღწია. გთავაზობთ ინტერვიუს ვეტერან სპორტსმენთან.

● **ხომ არ დადგა დრო, თავი დაანებოთ ჩოგბურთის თამაშს?**

— არც მიფიქრია. ჩემი მეუღლე, ალბათ, თქვენ დაგეთანხმებოდათ, მაგრამ პირადად მე ჯერჯერობით კვლავ ძველებურად მიყვარს თამაში და ოფლის დენა.

● **რა არის ის ძალა, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ჩოგბურთელს თამაშისთვის თავს არ ანებებინებს?**

— კონკურენცია. ახალგაზრდა ჩოგბურთელებს იმედი აქვთ, რომ ადვილად დამამარცხებენ, მაგრამ სწორედ აქ ცდებიან. ჯერ კიდევ შემწევს ძალა წარმატება მოვიპოვო.

● **ალბათ იმიტომ, რომ თქვენ ბაბუად გთვლიან...**

— მე კიდევ სწორედ ამიტომ ვთამაშობ თავისუფლად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე. მოგება მამხნევებს, წარუმატებლობას კი ისეთ ტრაგედიად აღარ ვთვლი, როგორც ახალგაზრდობაში.

● **ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯებს დგამდით დიდ ჩოგბურთში, როდესაც თქვენი დღევანდელი მოწინააღმდეგეები არც კი იყვნენ ქვეყნად გაჩენილნი.**

— ეს ფაქტი სულაც არ მაღელვებს. ჩოგბურთს, როგორც სპორტის ყველა სახეობას, ახალი სახელები სჭირდება. ერთადერთი, რაც მაწუხებს, ეს არის ნოსტალგიის გრძნობა — ვფიქრობ წარსულზე, ნასტასესა და ბორგზე. დღეს მე ისინი მაკლია...

**მასალა მოამზადა**
**თემურ შეწირულმა.**

## კალეიდოსკოპი

### პანამერიკულ თამაშებზე

**ინდიანაპოლისში** (აშშ) დამთავრდა მორიგი პანამერიკული თამაშები, რომელშიც 38 ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. გუნდური გამარჯვება შეჯიბრების მასპინძლებმა მოიპოვეს. მეორე ადგილზე გავიდა კუბის დელეგაცია. შემდეგ მოდიან კანადის, ბრაზილიის, არგენტინისა და მექსიკის წარმომადგენლები.

თავისუფლების კუნძულის სპორტსმენებმა განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარეს მოკრივეთა ტურნირი, რომლითაც დაიხურა კიდეც პანამერიკული თამაშები. მათ თორმეტიდან ათი უმაღლესი ჯილდო დაისაკუთრეს. სუსტად გამოვიდნენ ამ სახეობაში ამერიკელები — მხოლოდ ერთი ოქროს მედალი.

მოულოდნელი შედეგით აღინიშნა კალათბურთელ ვაჟთა ტურნირი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ აშშ-სა და ბრაზილიის გუნდები, ამერიკელები პირველი ტაიმის შემდეგ ბრძოლას 14 ქულით იგებდნენ, მაგრამ ბრაზილიელმა კალათბურთელებმა გარდატეხა შეიტანეს თამაშში და ბოლოს გაიმარჯვეს კიდეც — 120:115. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აშშ-ს გუნდში რამდენიმე მომავალი პროფესიონალი თამაშობდა.

თამაშების მასპინძელთა უპირატესობით აღინიშნა მძლეოსანთა და მოცურავეთა ტურნირები. მედლების სარეკორდო რაოდენობა მათ სწორედ ამ სახეობებში დააგროვეს.

### „მარადიული რეკორდის" მოლოდინში

იგი არასოდეს არ ადევნებს თვალს მეტოქეთა გამოსვლას. შეჯიბრების დროს მონაწილეთათვის განკუთვნილ ადგილზე ზის მშვიდად, თითქოს ის რაც აუზში ხდება მას არ ეხება.

ამერიკელ გრეგ ლუგანისზე ამბობენ, რომ იგი ყველა დროისა და ხალხის საუკეთესო წყალში მხტომელიაო. ეს აზრი ალბათ ახლოა დგას ჭეშმარიტებასთან, ყოველ შემთხვევაში რაც კი ქვეყანაზე სპორტული ტიტულები არსებობს, ლუგანისი ყველას ფლობს.

მისი წარმოშობის, ეროვნებისა და სადაურობის ამბავი ზუსტად არავინ იცის. ამბობენ, რომ მამამისი სამოაში (პოლინეზიაში) ცხოვრობდაო. შემდეგ იგი იშვილა ამერიკაში მცხოვრებმა ერთმა ბერძნულმა ოჯახმა და ბავშვს თავისი გვარი მისცა.

ლუგანისი 27 წლისაა. 11 წლის წინ მას „ამომავალი ვარსკვლავი" უწოდეს და ეს ვარსკვლავი დღემდე კაშკაშებს და ბრწყინავს. გრეგს კარგად არც ახსოვს როდის დამარცხდა ბოლოს, მხოლოდ სტატისტიკოსები იგონებენ, რომ ერთხელ მას ტრამპლინზე თანამემამულემ კენტ ფერგიუსონმა აჯობაო, ერთხელაც, კოშკიდან ხტომაში ბრეტ სკოგენს დაუმარცხებია.

ლუგანისს აქვს ერთი გამოკვეთილი ოცნება: უნდა, რომ 800-ქულიან ზღვარს გადააბიჯოს. ეს კი მაშინ მოხდება, როცა ყველა მისი ნახტომი 9,5 ქულით შეფასდება. ძაშინ, ამბობს იგი, „მარადიული რეკორდი" მექნება დამყარებული.

### ზამთრის პაუზის შემდეგ

დიდ წარმატებებს სპორტში ხშირად წარუმატებლობის ხანგრძლივი პერიოდი ენაცვლება. შარშან ივნისში იურგენ შულტმა (გდრ) ბადროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მაშინ მისი სახელი ყველას პირზე ეკერა. შულტს წარმატებას ულოცავდნენ და მისგან ახალ გამარჯვებებს მოითხოვდნენ. მაგრამ ვერ იქნა და ვერ დადგა ეს პერიოდი. უფრო მეტიც, სპორტსმენმა ზედიზედ რამდენიმე დამარცხება განიცადა და ბოლოს შტუტგარტის ევროპის ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი დაიკავა.

შულტმა დაკარგა საკუთარი თავის რწმენა და კინაღამ საერთოდ დაანება თავი მძლეოსნობას. მაგრამ ბოლოს მეგობრების რჩევას დაჰყვა და წვრთნა განაგრძო, ზამთრის პაუზა, თქვენ წარმოიდგინეთ, სასარგებლოც კი გამოდგა. ყოველ შემთხვევაში წლეულს მან რამდენიმე საერთაშორისო კლასის შედეგი აჩვენა, რამაც რწმენა დაუბრუნა. შულტი გულმოდგინედ ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის და დარწმუნებულია, რომ მძლეოსნურ სამყაროს ერთხელ კიდევ აალაპარაკებს.

### ასე მიაჩნია

ცნობილ გერმანელ მძლეოსანს მარლიზ გიორს რომ ჰკითხოთ, ბოლო წლების რომელ გამარჯვებას ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, დაუფიქრებლად გიპასუხებთ: იმას, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში ევროპის თასის გათამაშების დროს მოვიპოვეო.

გიორს 1977 წლიდან სპრინტერთა არც ერთი შეჯიბრება არ წაუგია. ევროპის თასის ხუთ გათამაშებაში მას ბადალი არა ჰყოლია, აი მეექვსე ტურნირის წინ კი სპეციალისტებს რატომღაც სკეპტიციზმი დაეუფლათ. ამის მიზეზი ბულგარელი ანელია ნუნევა გახლდათ, რომელმაც სეზონის ყველა შეჯიბრება 100 მეტრზე რბენაში 11 წამზე უკეთესი შედეგით მოიგო.

მაგრამ ცნობილი სპრინტერი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ამჯერადაც თავისი პრინციპების ერთგული დარჩა. ჩეხოსლოვაკიაში ფინიშის ხაზი მან კვლავ პირველმა გადაკვეთა, თანაც დიდებული შედეგი აჩვენა (10,95). გიორმა, ამავე დროს, თავისი ქვეყნის გუნდის გამარჯვებას შეუწყო ხელი ესტაფეტაში — ბოლო ეტაპი ყველაზე სწრაფად გაირბინა.

### რა მოხდება ჰესლიჰისა და ჰიუბნერის შემდეგ?

ცნობილ იტალიელ ველოსპრინტერს, 48 წლის სერჯო ბიანკეტოს, რომელიც ამჟამად ქვეყნის ეროვნულ გუნდს ავარჯიშებს, მიაჩნია, რომ დღევანდელმა ველოსპორტმა დაკარგა ის მიმზიდველობა და სანახაობრიობა, რაც ადრე ახასიათებდა.

— ჩემს შემდეგ ველოსპორტი განვითარდა, — ამბობს იგი, — გაუმჯობესდა წვრთნის პირობები და მეთოდიკა, მაგრამ სპრინტი მაინც არ სტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, როგორც წინათ. პირველ რიგში მხედველობაში მაქვს ტაქტიკა, რომელიც სპრინტის მთელ ეფექტს განსაზღვრავდა. იმას, რასაც ვთქვათ მორელონი აკეთებდა, დღეს ველარ ნახავთ. დღევანდელი სპრინტი მხოლოდ ფიზიკურ ძალასა და სისწრაფეში შეჯიბრებაა, სხვა არაფერი, სწორედ ამიტომ მგონია, რომ სპრინტი ცალმხრივად ვითარდება.

ბიანკეტოს ჰკითხეს აზრი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ველოსიპედისტებზე.

— გერმანელებს სხვებზე უკეთესი მოტივაცია აქვთ. სპორტსმენთა შერჩევაც მეცნიერულ საფუძველზე ხდება. მაგრამ ისინი, ჩემი აზრით, ერთ არსებით შეცდომას უშვებენ: ჰესლიჰი, ჰიუბნერი, კუში და სხვები თავიანთი გამარჯვებებით გზას უხშობენ ახალგაზრდებს, რომლებსაც შეიძლება ნიჭიც არანაკლები აქვთ და მონაცემებიც. ადრე თუ გვიან ჰესლიჰიცა და ჰიუბნერიც დიდ სპორტს დატოვებენ, საინტერესოა, რა მოხდება მერე?

### ახალი კლასიფიკაციით

უიმბლდონის ტურნირის შემდეგ ჩოგბურთელთა კლასიფიკაციაში არსებითი ცვლილებები მოხდა. შესამჩნევად დათმეს პოზიციები გფრ-ის სპორტსმენებმა (მხედველობაში გვყავს ჩოგბურთელი ვაჟები), პირველ რიგში კი ბორის ბეკერმა, რომელიც ბოლო წლებში მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა სამეულში შედიოდა, ახლა იგი შვედებმა მატს ვილანდერმა და სტეფან ედბერგმა შეავიწროვეს.

ახალი კლასიფიკაციით ოდნავ გამოასწორეს მდგომარეობა კრისტიან ზაკსენაუმ (მას, სხვათა შორის, ბეკერის ყოფილი მწვრთნელი გიუნტერ ბოში ავარჯიშებს) და პატრიკ კიუნენმა. ზაკსენაუ 167-ე ადგილიდან 131-ე ადგილზე გადავიდა, კიუნენი კი 131-ედან — 106-ეზე. მათზე ოდნავ უკეთესი მდგომარეობა აქვს ნაკლებად ცნობილ კარლ-უვე შტიბას (99-ე ადგილის ნაცვლად 64-ე ადგილი).

რაც შეეხება გფრ-ის მეორე ჩოგანს (ბეკერის შემდეგ) ანდრეას მაურერს, მას კლასიფიკაციაში მხოლოდ 56-ე ადგილი უკავია.

### ორასიდან — ერთი

ჰოკეი კანადაში სპორტის ყველაზე პოპულარული, ჭეშმარიტად ეროვნული სახეობაა. საფრანგეთის გაზეთი „მონდი" ამ ფენომენის ახსნას ცდილობს.

კვებეკის პროვინციაში 6 მილიონი მოსახლეა. ამათგან 90 ათასი ჰოკეის თამაშობს. ისინი ორგანიზებული ჰოკეისტები არიან და გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება. კანადაში ჰოკეის სწავლების მთელი სისტემაა შემუშავებული ბიჭუნებისთვის, ჭაბუკებისთვის, იუნიორებისთვის. ამ სისტემის მიხედვით დაწინაურებული ახალგაზრდისთვის პროფესიული ჰოკეის კარი მუდამ ღიაა. თუმცა მწვავე კონკურენცია მსურველთა შორის მუდამ იგრძნობა.

აი როგორ იგონებს „ლოს-ანჯელეს კინგსში" მისვლას 21 წლის კანადელი ლიუკ რობიტანი: „პრეტენდენტები ორასამდე ვიყავით. ყველანი თავს ვიკლავდით, გარკვეულ რისკზეც მივდიოდით როგორმე მწვრთნელების ყურადღება რომ მიგვეპყრო. ბევრმა ტრავმა მიიღო. მეცხრე შესარჩევი ტურის შემდეგ როგორც იქნა ბედმა გამიღიმა და ხუთწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი. ორასი კაციდან მხოლოდ მე ამირჩიეს".

## კალეიდოსკოპი

## მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის წინ

### „მთის ტბის" რეკორდი

**30 ივნისს** სტოკჰოლმში, მძლეოსანთა მორიგ ფორუმზე 22 წლის შვედმა პატრიკ შიობერგმა (შვედურად შიობერგი „მთის ტბას" ნიშნავს) სიმაღლეზე ხტომაში დამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი, რომელიც ამიერიდან 2 მეტრსა და 42 სმ-ს უდრის. სტოკჰოლმის ოლიმპიურ სტადიონზე მსოფლიოს ახალი რეკორდის დამყარების მოწმე გახდა 17 ათასი მაყურებელი. იმდღევანდელი გამოსვლა, რომელიც ტრიუმფით დამთავრდა, ორი მეტრის სიმაღლის შვედმა 224 სმ-ით დაიწყო. დანარჩენი სიმაღლეები — 2,39 და 2,35 სმ მან პირველსავე ცდაზე აიღო. ამასობაში ბრძოლას გამოეთიშნენ შიობერგის ძირითადი კონკურენტები — ჩეხოსლოვაკიელი ზვარა და ამერიკელი კარტერი. მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად სამი ცდა გახდა საჭირო — კიდევ ერთი გამორბენი და პატრიკ შიობერგი 42 სმ-ით „გადაახტა" საკუთარ სიმაღლეს.

მსოფლიოს ახალი რეკორდის დამყარების დღეს შვეციის დედაქალაქის ოლიმპიური სტადიონი არსებობის 75 წლისთავს ზეიმობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დღეს აქ დამყარებული მსოფლიო რეკორდიც რიგით 75-ე იყო.

16 წლის პატრიკ შიობერგმა სწავლაზე ხელი აიღო და მთელი დრო მხოლოდ სიმაღლეზე ხტომას დაუთმო. წარმატებას წარუმატებლობა ცვლიდა, მაგრამ მისთვის, მომავალი მსოფლიო რეკორდსმენისთვის უკან დასახევი გზა მოჭრილი იყო. მართალია, ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატზე იგი მხოლოდ მეთერთმეტე იყო, მაგრამ ამ მარცხმა ვერ შეაშინა ვერც შიობერგი და ვერც მისი დამრიგებელი ვილჰო ნიუსიაინენი. წარმატების მოსაპოვებლად გარკვეული დრო იყო საჭირო. და აი, 1984 წელს ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე დაძაბულ ორთაბრძოლაში მან ვერცხლის მედალი მოიპოვა. უფრო „უხვმოსავლიანი" გამოდგა მომდევნო 1985 წელი — შიობერგმა დახურულ დარბაზებში ევროპის ჩემპიონატზეც იმარჯვა და კანბერაში მსოფლიოს თასიც დაისაკუთრა. მის მიერ ნაჩვენებმა შედეგმა (2,38 მ) შიობერგს მსოფლიოს საუკეთესო სიმაღლეზე მხტომელთა შორის მესამე ადგილი დაუმკვიდრა.

— „ვფიქრობ, მალე შევძლებ 2,45 მ-ის სიმაღლის დაძლევას. წარმატების მოპოვებასა და რეკორდების დამყარებას დაუღალავი და კეთილსინდისიერი შრომა სჭირდება" — ასე ფიქრობს მსოფლიოს ახალი რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში, 22 წლის შვედი პატრიკ შიობერგი — რომის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი.

**მალხაზ რადიანი**

## „სპორტპროგნოზი"

**34-ე ტირაჟის შედეგები**
**(22-24 აგვისტო)**

1-2, 2-X, 3-1, 4-X, 5-X, 6-1, 7-1, 8-1, 9-1, 10-X, 11-2, 12-2, 13-X

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.



**10 აგვისტოს** ავსტრიაში, ოსტერრაიხრინგზე, გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მეათე ეტაპი „ფორმულა-1"-ს ავტომობილებით რბოლაში.

# ნაიჯელ მენსელის რევანში

საწვრთნელ რბოლაში საუკეთესო დრო აჩვენა ნელსონ პიკემ, მეორე ადგილი დაიკავა ნაიჯელ მენსელმა. აირტონ სენამ და ალენ პროსტმა კი სტარტი მეექვსე-მეშვიდე პოზიციიდან აიღეს.

ამ ეტაპზე სტარტი სამჯერ გამეორდა. ამის მიზეზი მრავალრიცხოვანი ავარიები იყო: საბედნიეროდ, არც ერთი სპორტსმენი არ დაშავებულა. საინტერესო გამოდგა აირტონ სენასა და მენსელის „დუელი" — ინგლისელმა ავტომრბოლმა ბრაზილიელ მეტოქეს ოსტატურად აუარა გვერდი ტრასის სწორ მონაკვეთზე.

ნაიჯელ მენსელმა წლევანდელ სეზონში მეოთხედ მოიპოვა „დიდი პრიზი", მან ტრასის 52 წრე 1 საათში, 18 წუთსა და 44,898 წამში გაიარა.

სუსტად ასპარეზობს „ფერარი". ფირმას, როგორც ჩანს, ვერც „მაკლარენის" კონსტრუქტორის ჯონ ბარნარდის გადმობირებამ უშველა.

ისევე, როგორც უნგრეთში, ავსტრიაშიც რბოლას გამოეთიშა გერჰარდ ბერგერი.

მეათე ეტაპის შედეგები: 1. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „ვილიამს ჰონდა") — 9 ქულა; 2. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ვილიამს ჰონდა") — 6; 3. ტეო ფაბი (იტალია) — 4; 4. ტიერი ბუტსანი (ბელგია) — 3 (ორივე — „ბენეტონ ფორდი"); 5. აირტონ სენა (ბრაზილია, „ლოტუს ჰონდა") — 2; 6. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენ პორშე") — 1 ქულა.

გთავაზობთ „ჰუნგარორინგზე" გამართული წინა ეტაპის შედეგებსაც: 1. ნელსონ პიკე — 9; 2. აირტონ სენა — 6; 3. ალენ პროსტი — 4; 4. ტიერი ბუტსანი — 3; 5. რიკარდო პატრეზე (იტალია, „ბრებემ ბე-ემ-ვე") — 2; 6. დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ეროუზ ბე-ემ-ვე") — 1.

ჩემპიონატს 54 ქულით ლიდერობს ნელსონ პიკე. მეორე ადგილზეა აირტონ სენა — 43 ქულა. მესამეზე — ნაიჯელ მენსელი (39) ალენ პროსტს 31 ქულა აქვს. შემდეგ მოდიან 5. სტეფან იოჰანსონი — 19; 6. გერჰარდ ბერგერი — 9; 7-8 მიქელე ალბორეტო, ტიერი ბუტსანი — 8-8; 9. ტეო ფაბი — 7; 10. სატორუ ნაკაჰიმა — 6; 11-14. ანდრეა დე ჩეზარისი, ედი ჩივერი, ფილიპ სტრაიფი, ჯონათან პალმერი — 4-4; 15. დერეკ უორვიკი — 3; 16-17. მარტინ ბრანდლი, რიკარდო პატრეზე — 2-2; 18-20. რენე არნუ, ივან კაპელი, ფილიპ ალიე — 1-1 ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობის ერთპიროვნული ლიდერია „ვილიამს ჰონდა", მას 93 ქულა აქვს. „მაკლარენ პორშე" 50 ქულით მეორე ადგილზეა. მას ერთი ქულით ჩამორჩება „ლოტუს ჰონდა". „ფერარის" 17 ქულა აქვს, „ბენეტონ ფორდს" — 15, „ტაირელ ფორდს" — 8, „ეროუზ ბე-ემ-ვე" 7 ქულით მეშვიდე ადგილზეა. „ბრებემ ბე-ემ-ვემ" 6 ქულა მოაგროვა. 2 ქულით მეცხრე ადგილზეა „ცაკსპიდი". მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე ადგილებზე თითო ქულით — „ლიჟიე ბე-ემ-ვე", „მარჩ ფორდი" და „დოლა ფორდი".

ჩემპიონატის მეთერთმეტე ეტაპი 6 სექტემბერს იტალიაში „მონცას" ტრასაზე გაიმართება.

**დავით ჩუბინიძე.**

**რედაქტორის მოადგილე**
**უ. ჟიჟინაძე.**

**ორშაბათს 31 აგვისტოს,** 2 საათზე პროფკავშირების მძლეოსნობის სასახლის სხდომათა დარბაზში (ა. წერეთლის გამზ. 85-ა), საქართველოს პროფესიული კავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო ატარებს თათბირს სპორტულ სკოლებში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით. დღის წესრიგშია საზოგადოების შემდგომი მუშაობის საკითხები.

პროფკავშირების ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების თავმჯდომარეებისა და პროფკავშირული სპორტული სკოლების დირექტორების დასწრება სავალდებულოა.

ინდექსი: 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუს ხში, ხოშარაულის ქ. 29. უე 0713

ეროვნული ბიბლიოთეკა